გურთიად
GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 03 Temmuz / ივლისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon/ინფლაცია
3 716.9	4 763.5	5.1 %	11.6 %	6.1%

Başbakan Meclise Yıllık Raporu Sundu

პრემიერ- მინისტრმა პარლამენტს წლიური ანგარიში წარუდგინა

2020 yılı bahar dönemin son oturumunda, hükümet başkanı yasama organında hükümet programın uygulanmasına ilişkin yıllık raporu sundu.

Başbakan'a göre, Korona Virüs salgına rağmen, hükümet tarafından belirlenen dört öncelikli programa ilişkin çalışmalar ve uygulama süreçler durmamıştır ve aktif bir şekilde devam ediyor. Bu programlar: Ülke güvenliği, İnsan hakları, Ekonominin kalkınması ve Eğitim Sektörü.

Konuşma süresinde hükümet başkanı Rus işgalini gündemin ilk konusu olarak dile getirdi. Başbakanın açıkladığı gibi bahsi geçen sorun, hala ulusal güvenliğin en büyük sorundur. Başbakan, işgal sorunlarını çözmek için uluslararası toplumun aktif katılımı ve işbirliği özellikle vurguladı.

Konuşma sırasında Başbakan, Gürcistan'ın stratejik ortağı olan ve ülkenin gelecekteki güvenliğin en önemli garantisi olan NATO'ya odaklandı. Başbakanın dediği gibi Gürcistan'ın hedefi NATO'nun tam üyeliğidir.

Ekonomik konulardan bahseden Başbakan, ekonominin tekrar en önemli önceliklerden biri olduğu kaydetti. Gakharia, 2019 yılı en iyi yıllardan biriydi, pandemi süresi ülkenin sağlık sisteminin güçlü olduğu tespit etti ve bu ekonominin gelecekteki gelişimin anahtar olmalıdır dedi.

Başbakan ayrıca anayasa değişikliklere de değindi ve 29 Haziran'dan itibarıyla Gürcistan'ın "oransal seçim sistemine dayanan demokrasi" haline geldiğini söyledi.

Bahar döneminde, parlamentonun 27 oturumun yapıldığı, 179 yasanın ve 400'den daha fazla kararın aldığı hatırlatmak isteriz.

2020 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლო პლენარულ სხდომაზე მთავრობის მეთაურმა საკანონმდებლო ორგანოში 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების წლიური ანგარიში წარადგინა.

პრემიერის განცხადებით, პანდემიის მიუხედავად, ის ოთხი პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც სამთავრობო პროგრამის დამტკიცების დროს იყო წარდგენილი, განხორციელების ფაზებშია და ამ ოთხი მიმართულებით მუშაობა არ შეჩერებულა. ეს მიმართულებებია: ქვეყნის უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, ეკონომიკური განვითარება და განათლება.

პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას მთავრობის მეთაურმა ნომერ პირველ საკითხად რუსული ოკუპაცია დააყენა. მისი განმარტებით აღნიშნული საკითხი ეროვნული უსაფრთხოების უმთავრეს გამოწვევად რჩება. პრემიერმა ხაზი გაუსვა ოკუპაციის პრობლემების მოგვარების პროცესში საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობას და მათთან აქტიურ თანამშრომლობას.

ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს ნატოში ინტეგრაციაზე, რომ ნატო საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და ქვეყნის მომავალი უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტია. მისი განმარტებით, საქართველოს მიზანი ნატოს სრულფასოვანი წევრობაა.

ეკონომიკურ მიმართულებებზე საუბრისას პრემიერმა აღნიშნა, რომ ეკონომიკა რჩება ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად. 2019 წელი მისი თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო წელი იყო. მისი განმარტებით ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა საკმაოდ მდგრადია, რაც პანდემიის პირობებში კარგად გამოჩნდა და ეს უნდა გახდეს ეკონომიკის სამომავლო განვითარების საწინდარი.

პრემიერი საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხსაც შეეხო და განცხადა, რომ საქართველო ორშაბათიდან „პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე დაფუძლებული დემოკრატია" გახდა.

გვინდა შეგახსენებთ რომ საგაზაფხულო სესიის ფარგლებში 27 სხდომა ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც პარლამენტმა მიიღო 179 კანონი და 400-ზე მეტი დადგენილება.

Batum Havalimanı'nda Yenileme Çalışmaları
სარეკონსტრუქციო სამუშაოები ბათუმის აეროპორტში

Batum Havalimanında İşletmecisi "TAV Georgia" tarafından yenileme çalışmaları sürdürüyor. Bu bağlamda şirket 14 milyon dolarlık ek yatırımı yaptı. Yenileme çalışmaları 2021 yılı Şubat'a kadar tamamlanacak ve sonucunda havalimanına yeni alanlar eklenecek, yolcu terminalleri yenilenecek, yolcu trafiği iki kat büyütecek. Yenileme çalışmaların tamamlandıktan sonra havalimanı yıl boyunca yaklaşık 1.5 milyon yolcuya hizmet edebilecektir. Başbakanı ve Ekonomi Bakanı havaalanı ziyaret edip, yenileme çalışmaları gözettiler.

ბათუმის აეროპორტის მმართველი კომპანია „ტავ ჯორჯია“ აეროპორტის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ახორციელებს. აღნიშნული მიმართულებით კომპანია დამატებით 14 მლნ დოლარის ინვესტიციას ახორციელებს. სამუშაოები 2021 წლის თებერვლისთვის დასრულდება, რის შედეგადაც გაიზრდება აეროპორტის შენობის ფართი, განახლდება გაფრენისა და მოფრენის ტერმინალები, გაორმაგდება მგზავრთა გამტარუნარიანობა და მისი მოცულობა წელიწადში 1.5 მილიონ მგზავრს გაუტოლდება. აეროპორტში მიმდინარე სამუშაოებს პრემიერი და ეკონომიკის მინისტრი გაეცნენ.

2020 Haziran Ayında Gürcistan'da Enflasyon
ინფლაცია საქართველოში 2020 წ. ივნისი

Gürcistan milli istatistik kurumun verilerine göre, 2020 yılı Temmuz ayında ülkedeki enflasyon seviyesi %-1.4, yıllık enflasyon oranı ise bu dönemde %6.1 olarak belirlenmiştir. Aylık enflasyon oranı aşağıdaki ürün ve grupların fiyatlarındaki değişimden etkilenmiştir.
Yiyecek ve alkolsüz içecekler grubunda fiyatlar %13.6 artmıştır. Meyve %46.5; Süt, Peynir, Yumurta fiyatları %17.2; Balık fiyatları - %15.8; Kahve, Çay ve Kakao - %14.8; Yağlar - %13.5; Et ve Et ürünleri - %13.1; Töz şeker, reçel ve diğer tatlılar - %12.6; Ekmek ve ekmek ürünleri - %10,0; Maden ve tatlı sular, alkolsüz içecekler ve meyve sular - %9.3; Aynı zamanda kişisel araç kullanımında fiyatlar %11.8 düşmüştür.



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2020 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -1.4%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 6.1% შეადგინა. ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებელზე გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათის და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 13.6%-ით. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი (46.5 %), რძე, ყველი და კვერცხი (17.2 %), თევზეული (15.8 %), ყავა, ჩაი და კაკაო (14.8 %), ზეთი და ცხიმი (13.5 %), ხორცი და ხორცის პროდუქტები (13.1 %), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (12.6 %), პური და პურპროდუქტები (10.0 %), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (9.3 %); ფასების კლება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-11.8 პროცენტი).

Korona Virüs
კორონა ვირუსი

Son istatistik verilerine göre dünya çapında korona virüs vakalarının sayısı 11 milyona yaklaşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 10 994 298, vefat eden kişi sayısı – 524 229, iyileşen kişi sayısı – 6 153 499. En çok vaka sayısı ABD, Brezilya, Rusya, Hindistan, İspanya ve Birleşik Krallık görülmüştür. Konu ile ilişkin diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 11 მილიონს მიახლოვდება. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 10 994 298 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 524 229 პაციენტი, ხოლო გამოჯანმრთელდა 6 153 499 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული ამ ეტაპისთვის აშშ-ს, ბრაზილიას, რუსეთს, ინდოეთს, ესპანეთს და გაერთიანებულ სამეფოს ჰყავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი სტატისტიკა ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka ფაქტი	Ölüm გარდაცვალება	İyileşme გამოჯანმრთელება	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	2 837 189	131 485	1 191 091	1 514 613
Brezilya / ბრაზილია	1 501 353	61 990	916 147	523 216
Rusya / რუსეთი	661 165	9 683	428 978	222 504
Hindistan / ინდოეთი	627 168	18 225	379 902	229 041
İspanya / ესპანეთი	297 183	28 368	N/a	N/a
Peru / პერუ	292 004	10 045	182 097	99 862
Şili / ჩილე	284 541	5 920	249 247	29 374
Birleşik krallık / დიდი ბრიტანეთი	283 757	43 995	N/a	N/a
İtalya / იტალია	240 961	34 818	191 083	15 060
Türkiye / თურქეთი	202 284	5 167	176 965	20 152
Gürcistan / საქართველო	943	15	821	107
Total (dünya) სულ (მსოფლიო)	10 994 298	524 229	6 153 499	4 316 570

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (03.07.2020)

USD/GEL – 3.0463 TRY/GEL – 0.4444 EUR/GEL – 3.4381 GBP/GEL – 3.8124

GEL/USD

03 Temmuz 2020

TRY/USD

03 Temmuz 2020

TRY/GEL

03 Temmuz 2020